რედაქცია
[illegible] პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებ- [illegible] ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ- [illegible] ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [illegible]თვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
[illegible] წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
[illegible] თვისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible] ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე მეტი.
თუ ხანგრძლივად [illegible], რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დროება"

პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდის ღირს შვიდი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

არწრუნის თეატრში
დღეს, 20 აპრილს
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I
## ჰაეროსტატი
კომედია 4 მოქმედ. 5 სურათად თხზ. მ. ჯორჯაძისა.

II
## ბუტიაობა
მოქმედება 1 მოქმ. აკ. წერეთლისა.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

## ტელეგრამმა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან.)

გორი, 18 აპრილს. ჩვენი მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა: გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაში წინადადება შეიტანოს, რომ მუდამ-წლიური სასკოლო გადასახადი ერთ-დროებით გადასახადთ შესცვალოს; ამას გარდა ითხოვენ ჩვენის მხრის გამიჯვნის დაჩქარება და გაუმჯობესება ადმორჩევით სასამართლოს დაწესების შემწეობით, ერობა, ნაფიცთ სასამართლო და სახელმწიფო სასწავლებლებში გაძლიერებულობითი სწავლა ქართულის ენისა.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 17 აპრილს. გამოცხადებულია წესდება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფის პირების შესახებ: ზედამხედველობა პოლიციისა განსაზღვრულია ვადით, არა უმეტეს ხუთის წლისა. ამ გვარ პირს ჩამოერთმევა ყველა დოკუმენტები; თუ არ ადმინისტრაციის ნება-რთვით, ნება არ აქვს საცხოვრებელად დანიშნულ ადგილიდამ ფეხი მოიცვალოს, და თუ სადმე წასვლის ნებას მიიღებს, უნდა გამოაცხადოს სად და რა დროს იქნება და ადგილზე მისვლისა-თანავე იქაურ პოლიციას უნდა გამოეცხადოს; პოლიციას უფლება აქვს როდესაც საჭიროდ დაინახავს გაუჩხრიკოს სახლი; არც სახელმწიფო და არც საზოგადო სამსახურში შესვლის უფლება არა აქვთ; არ შეუძლიანთ იყვნენ წევრნი კერძო კამპანიებისა; არ შეუძლიანთ მასწავლებლობა, ლექციების კითხვა, სცენაზე თამაში, პიბლიოთეკის გამართვა, არც ტიპოგრაფიის, არც ლიტოგრაფიისა, არც ფოტოგრაფიისა, არც ტრაქტირის, არც სამიკიტნოსი, არც ვექილად დადგომა სასამართლოებში, არც სასწავლებლებში შესვლა და არც საზოგადოდ სხვა რამ საქმის ხელის მოკიდება, თუ მთავრობის ნება-რთვა არ ექნება. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გამოსცეს განკარგულება, რომ ყველა წიგნები, რომელიც ამ გვარ შენიშნულ კაცს მოსდის, ან რომელსაც ის იწერება, ჯერ პოლიციის ანუ ჟანდარმისაგან იყოს წაკითხული. ვინც ამ წესდებულებას არ შეასრულებს, იმას გადახდება: ერთის თვით დატუსაღება შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ერთ კვირამდინ დატუსაღება გუბერნატორის განკარგულებითა და სამ დღემდინ— ადგილობრივ მთავრობისა.

პეტერბურღი, 18 აპრილს. ახალი პროექტი, შემოსავლის-და-გვარად გადასახადის დადგენისა, სახელმწიფო რჩევაში წარდგენილია.

სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ოდესსის უნივერსიტეტში გახსნის საექიმო ფაკულტეტი.

სასამართლომ გუშინ, 17 აპრილს, გაათავ ინტენდანტის მაკშეევის საქმის განხილვა; გუშინ მთელი დღე და ღამე და დღეს დილით განაჩენის დადგენაზედ აქვს სჯა სასამართლოს; ჯერ კიდევ ამ ჟამად გარდაწყვეტილება არ დაუდგენია.

## დღიური

დღევანდელს ნომერში მკითხველი ნახავს გორიდამ მიღებულ ტელეგრამმას და, უეჭველია, დიდის სიამოვნებითაც წაიკითხავს ქართლის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილებას.

ამ საგანზე და საზოგადოთ იმაზედ—თუ როგორ უნდა ისარგებლოს ამ ჟამად ჩვენმა თავად-აზნაურობამ უმაღლესად მონიჭებულის უფლებით—იშუამდგომლოს თავის საზოგადო საჭიროებაზედ—ჩვენ ამ მოკლე დროში დავბეჭდავ უფრო ვრცელ შენიშვნას; ახლა კი ამ ჩინებულ დასაწყისათვის ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ქართლის თავად-აზნაურობას ვუთხრათ: ბარაქალა!

* * *

გუშინ კვირას, ნასადილევს თით- [illegible] გროვდა დიდ-უბეში, მუშტაიდს იქით. ჯერ ჭიდაობით დაიწყებს; მაგრამ იმერეთი ჭიდილში განთქმული არ არის: ერთი კახელი და ერთი მეგრე-

---

„დროების" ფელეტონი, 20 აპრილი.

## გორის ფელეტონი.

მოგეხსენებათ „კრაჟინისა", თუ ნეკრესის ქარისაგან წელში გატეხილი ჩვენი გორის ხიდის მტკვრით მოგზაურობა. მიზანი იმისი „ატსტავკიდგან" გამოსვლისა და მოგზაურობისა ის გახლავთ, რომ ჯანი გაისაღოს...

აქაურმა მკურნალებმა „სოვეტი" ჰქნეს და ხელი აიღეს იმის ექიმობაზედ. ხან აქედ სჩრიდნენ ტერმომეტრს, ხან იქიდამ და ამოაჩინეს, რომ დიდი სიცხის ალმაცერი ადგა. შემდეგ კონსილიუმი შეიკრიბა და ამ ლონის-ძიება მიიღეს: ერთი ქინაქინას უწერდა, მეორე იოდსა და ხინაპსა, მესამე „სლაბიტელსა". მეტი გარაფიერი ეწერა ამათ კარაბადინში და მიაწებეს თავი. არა, გაგონილა, ჩვენო ჭირიმეთ, ამდენი ქინა-ქინა!? მუცელი გტკივა — ქინა-ქინა, თვალი გტკივა—ქინა-ქინა, წელი გტკივა—ქინა-ქინა!

ახლა ხიდის მარშრუტი იქნება შემდეგი: ჯერ ტფილისში მივა და იქაურ სურ-ცივ აბანოს „მიიღებს". თუ იქაც აბანოს დარჩომიათ ქინა-ქინა და ამისი ამ წყლით გაუხსნეს,—გასწევს პირ-დაპირ სალიანში, იქ თევზის ზეთში უნდა დაიზილოს წელი და, როგორც ჯანაოზ ექიმის კარაბადინში ამოუკითხავს, ბაქოში ნავთის ვანნა უნდა მიიღოს; მერე ერთი კოლოფი სპიჩკა აბებათ ვადაყლაპოს და საუკუნოთ გასაღდება კიდეცა!

ერთს ძნელად დასაჯერებელ საკვირველებას ამბობენ, რომლის სინამდვილეში ჩვენ ეჭვი გვაქვს და რამდენათ მართალია არ ვიცით და არც პასუხს ვაგებთ: განათლებულ ქვეყნებში აღმოუჩენიათ და ხმარებაშიაც შემოუღიათ ერთი რაღაც გვარი მეტალლი, რომელსაც ეძახიან რკინას. ამ რკინისგან თურმე შეიძლება გაკეთდეს ხიდიცა, რომელიც ისეთი მაგარი რამ იქნებაო, რომ ვერც წყალი დაალპობსო და ვერც ადვილათ გატყდებაო.

ერთ მკითხავს უთქვამს ახლა, იმ რკინას თუ სადმე იშოვნიანო და იმის ხიდს გააკეთებენ გორელებიო, ხის ხიდი საჭირო აღარ იქნებაო და დედაშვილობას იფიცავს—ტიკებსა და „ბორანს" ის აჯობებსო!

თუ ეს მართალია, რაღა გვიშავს გორელებს: დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ რკინის შოვნას; გამოვიწეროთ ცოტა აფთიაქ-ხანიდამ, ან „ინგლისის მაღაზიაში" უთუოდ იქნება (იქ ჩიტის რძეც კი არისო, ამბობენ); ან აქაურ მედუქნეებს „ფრანგი-ბიჭებსა" და ზურაშვილს მოვატანინოთ ზაგრანიციდამ.

გაზაფხული დაიწყებია, მგონი, ბ. მდივანის თავის ოცი წლის კალენდარში! სწორედ ნახევარი წელიწადია—ნაემბერს აქეთ,—ზამთრის ტყვე გავხდით. მუშა ხალხი ძალიან უკან ჩამორჩა აპრილი ილევა და ჯერ ვენახები შეუმუშავებელია.

მერაცერი „ცხვირზედ" მობრძანდა ეს ახალ-წელიწადიცა. ბუქითა და კორიანტელით შემოდგა [illegible] ჩვენს ქვეყანაში და ჯერ მის [illegible]ზედ [illegible]მილს არ გაუიამაშნია. არ ვიცით, კარგს რას უნდა მოველოდეთ!.. საქონელი ლამის გაწყდეს შიმშილითა და სიცივით: ცარიელი ჩონჩხები-ღა დაფართატებენ გაძრიაკებულ მინდვრებში, კაჭკაჭებსაც კი ეთაკილებათ ნისკარტით ხორცის ამოგლეჯა იმათ ზურგიდგან!

ამბობენ, გორის მაზრაში აქა-იქა კალიის ნიშნები არისო და თუ ამაზედ მოაკლდინეს ხალხი, კაი ამბავი იქნება!

დიდ თოვლს დიდი წყალ-დიდობა მოსდევს ხოლმე. წელსაც ასეა. ჯერ ოთხი, თუ ხუთი ადამიანი გამხდარა წყლის მსხვერპლი: ორი ურია თავიანთ ცხენებითა და ბარგი-ბარხანითა, ერთი ჩაფარი—ოსი და ერთიც გორელი დროგითა და ცხენით.

თუ ერთი თბილი დღეები დაიჭირა და მთების თოვლი დაიძრა, ადიდებული ლიახვი ბლომა ნარიყს მოუგროვებს გორში ლიახვის უბნელებს, შეინახონ და სწვან; მხოლოდ ამათთვის არის სასარგებლო ეს ამოდენა თოვლი.

საკვირველია ზოგიერთი კაცის შეხედულობა რომელიმე საგანზედ. ჭკუაში მოსასვლელიც რომ არ იყვეს ეს იმისი შეხედულობა, მაინც დაჟინებით თავისას გაიძახის და ვითომ ამტკიცებს კიდეცა. ეს ითქმის სწორედ „დროების" № 68 გორიდამ შენიშვნის დამწერზედ. არა, ერთი იფიქროს, ვინც კი გორში ჰყოფილა ოდესმე, რა „დიდი მადლობის ღირსია განკარგულების მომხდენი გორის საქალებო სასწავლებლის თ. ერისთვის სახლეში" გადატანისა? (თუ მართლა, როგორც ამბობენ, მაზრის უფროსის ახალ სასახლეში, როტონდის გვერდზედ, გადააქვთ ეს სასწავლებელი?) მართალია, თ. რ. ერისთვის სახლები ჩინებული რამ არის სასწავლებლისათვის, იქ შვიდ-კლასიანი სასწავლებელიც ადვილათ მოთავსდება, ამას გარდა ძალიან კარგ ადგილას არის, გარშემო ვრცელი მინდორი აქვს თავისუფალი, გვერდზედ ბაღი და მტკვარი, მაგრამ ეს ადგილი ისე განაპირათ

ლი დაეჭიდნენ ერთმანეთს. ქახელი როგორც ჭიდაობის რიგი და წესია, ისე შეუდგა საქმეს, ნელ-ნელა უტრიალებდა და ამასობაში მეგრელმა უეცრად წაავლო ხელი და სანამ იმის მოწინააღმდეგე გონზე მოეიდოდა, ერთიც ენახოთ მობურჯგნა და ძირს დასცა.

შემდეგ ბურთი ავარდა. ერთის მხრით მეგრელები, მეორეს მხრით იმერლები და გურულები. მგონია ეს უკანასკნელნი უფრო მომეტებული იყვნენ რიცხვით და ამიტომაც პირველადვე ამათ გაიტანეს საჭჯერ ბურთი, მეგრელებმა კი მარტო ერთხელ.

მობურთავეების რიცხვი ორასზე მეტი იყო. მაყურებელი ერთი-სამად მომეტებული, დიდ-ძალი ხალხი, უფრო მაღალ-წოდების ქართველობა, ქალები და კაცები, აგრეთვე ქალაქის ხალხი მოაწყდა საყურებლად და ყველას მოეწონა ამ გვარი შექცევა.

რასაკვირველია, არავითარი უწესოება არ მომხდარა.

ამბობენ, მუდამ კვირას აპირებენ ამ ალაგასვე იმერლები ბურთის თამაშის გამართვასაო.

* * *

გასულ პარასკევის სხდომაზე გამგეობამ მოახსენა, სხვათა შორის, ქალაქის რჩევას სენატისაგან მიღებული ქაღალდი შესახებ სახალხო დროს გატარებისა. მოგეხსენებათ, რომ ამ ...რა სამი წლის წინათ პოლიციამ-

ტერმა მერკლინგმა აღკრძალა საზოგადოთ ქალაქში და ბაღებშიაც ზურნის დაკვრა. ქალაქის რჩევამ მაშინვე სთხოვა ბ. ტფილისის გუბერნატორს ამ განკარგულების მოშლა. გუბერნატორმა უარი განაცხადა და ამის გამო ქალაქის თავმა საჩივარი შეიტანა სენატში. როდესაც სენატმა ამ საგანზე გუბერნატორს პასუხი მოსთხოვა ბ. გუბერმატორმა აცნობა, რომ, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ეს განკარგულება მოისპო.

ამიტომაც ქალაქის გამგეობას სენატისაგან მოსვლია ახლა ქაღალდი, რომ რადგან თქვენი საჩივარი დაკმაყოფილებული ყოფილა, ამ საგანზე სჯა აღარ გვქონიაო. მაგრამ საქმის გარემოებიდამ აღმოჩნდა, რომ ქალაქის რჩევის თხოვნა სრულიად არ დაუკმაყოფილებია ადმინისტრაციას..

* * *

გუშინ წინ, შაბათს ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ბორჯომიდამ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე...

* * *

„კავკაზი“ გვაცნობებს, რომ ზღამხედველად იმ უპატრონო ყმაწვილებისაუვის თავ-შესაფარ სახლის (პრიუტის), რომელსაც იმპერატორს ალექსანდრე II-ის სახელობით ჰქვიან ტფილისში, დანიშნულია პოლკოვნიკის ქვრივი ლ. ვ. პაჟომოვისა ამ თავით ხსენებულს პრიუტში 25 ყმაწვილი იქნება მიღებული, რომლით

სიაც უკვე შეუდენიათ და დაუმტკიცებიათ.

## ქურდობის გავრცელება ქართლში

ჩვენს დროში ქურდობა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ქურდობა ერთი თვალ-საჩინო ნიშანთაგანია ზნეობითი დაცემისა და დამდაბლებისა და მით უფრო მაშინ, როდესაც ეგ ქურდობა მტკიცედ დაფარულია და მისი გამოაშკარავება, სამართლამდის მიღწევა შეუძლებელად ითვლება რომელიმე უბრალო მიზეზისა გამო. მართალია, ყოველ სენს სათაური, დასაწყისი უნდა მოიძებნოს და კურნება იქიდგან დაეწყოს; მართალია, ქურდობის გავრცელება და გახშირება დამოკიდებულია ქურდობის და მათი აღმზრდელი საზოგადოების ზნეობით დაცემაზედ, ხოლო ზნეობის აღდგენის ერთად-ერთი გონივრული წამალი განათლებაა და არც ერთი სენი ძალ-დატანებით არ განიკურნება,— მარამ სანამ სიტყვა საქმეთ გადიქცევა, იმ დრომდე რომ თავი მივანებოთ ქურდობას და ხმა არ ამოვიღოთ და სხვა რამე ღონე არ ვიხმაროთ მისი შეყენებისთვის მაინც,—მაშინ სიტყვის იარაღიც მუცელში ჩავარდება და თუ არა ითქმება-რა, საქმე აბა საიდგან ლა წარმოსდგება. ეს ძველი ჭეშმარიტება ჩვენც ჭეშმარიტებათ შიგვაჩნია და ამისათვის განვაგრძოთ.

რამდენიმე ათი წელიწადია, რაც ქურდობა ხელობათ აქვთ მიღებული

ორი ხალხის წარმომადგენელ... ქართლში ოსებს, კახეთში თათ... საკვირველია, რომ ეს ორივე ... ლი ხალხი უმამულოა, ხიზანია ... წილადობაზედ მამულიანებზედ, ... სახლკარებულებზედ უფრო შეძ... ბულნი კი არიან! ქართლში ოს... ქურდობა მომეტებულად დაფარულ... კახეთში კი ძნელათ დაიფარება. ... ამ სიტყვების დამამტკიცებელი საბ... თები.

გორის მაზრაში ერთს საუკეთ... კუთხეს „რეხის ხეობა“ შეადგე... მისი ჰავა, მიწა-წყალი, მთა-ბარ... მეურნეობითი წარმოება და სხ. სა... გალითონი ირიან. მაგრამ ამას... „რეხის ხეველებისთანა“ შევიწროებ... ლი, გულ-გატეხილი, დამდაბლებუ... ხალხი სხვა მაზრაში კი არსად შე... ლება და გორისაში კი... იქნ... ყველგან იყვნენ.

ჩვიდმეტი წელიწადია ბატონ-ყმო... ის კურთხევით სახსენებელი ბატო... ყმობა გადავარდა და ლამის რეხ... ხეველებს ახალი ბარბაროსული ბ... ტონ-ყმობა დაატყდეთ თავს: რაც ... რამ საუკეთესო მოძრავი ქონება მ... ეპოვებათ, ყოველისავე პატრონ... ოსები არიან, ის ოსები, რომელნ... მათ მიწა-წყალზედ, მათ მეზობლ... სცხოვრობენ. აი „რეხის ხეობ... სოფლები ქართველობით: საკორ... თლო, ახალშენა, კოდის-წყარ... ხურვალეთი, რენე, ჭალა, სამთავ... იგოეთი, ბოჟანი, ქასპი და სხ. პ...

არის გორზედ, როგორც ვერა, ნავთლუღი ტფილისზედ. ერთი ეს მიბრძანეთ, მტკვრის პირზედ როგორ უნდა იარონ ქალებმა, მაგალითად გარეთუბნიდამ, წმინდა-წყლიდამ, ან თუნდა სხვა უბნებიდამ, ზამთარში და ცუდ ამინდებში? ჩვენის აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სადმე სობოროს ქუჩიცკენ მოიმებმებოდეს რიგიანი სახლები ამ სასწავლებლისათვის; აი იქ არის შუა ადგილი მთელი ქალაქისთვის; აქ კი, როტუნდის გვერდზედ, მარტო გრიშკას შვილებისთვის იქნება სასარგებლო სასწავლებელი!...

ამ წინაზედ „დროებაში“ იყო აწერილი, რომ სოფ. ზღუდერში ერთმა მედუქნემ შუადღის ხანს დაჩეხა მთელი ოჯახობა ერთი აზნაურისაო. მამა და ცოლიანი შვილი ერთი კარგის ცხენით დახოცილან, ცოლი კი გადარჩომილა მძიმე ჭრილობისგან.

ყასაბი დაჭერილი იყო სატუსაღოში, თუ ეხლა ადიდებულმა წყალმა არ მოიტაცა იქიდამ. ამ თვის 17 გორის სასამართლოში დანიშნულია ამ საქმის გამოძიება. თუ გზვიდობაა, ვინც დაესწრობა ამ დროს, დიდი საყურადღებო იქნება. ამბობენ, თითქმის მთელი სოფელი დაბარებულია მოწმათაო (სულ 30 ქალი და კაცი). რასაკვირველია, მართლ-მსაჯულობა სასტიკად დასჯის დამნაშავეს და გამოააშკარავებს მიზეზს ამ მხეცურ ბოროტ-მოქმედებისას.

მაინც ადამიანების ჩეხა გახშირდა

ჩვენს ცოდვილ დედა-მიწაზედ. სურამში კვირა-ცხოვლობას ბევრისთვის უძგერებიათ მახვილი და სისხლი ამოუშვიათ (ჯერ ხომ მაისი არ მოსულა!). პრისტავი თავის ამალით უფრენიათ ქვებითა და კეტებითა, როცა იმშვიდობიანობის დასაცველათ მისულა... მაგრამ ეს სურამელი კორრესპონდენტისთვის დარჩეს, მე სხვა საპრისტაოსი გახლავართ და რათ შევეციდები?

13 აპრილი. ბედშავი.

## პარიჟის ელექტრონული გამოფენა

(გაგრძელება *)

ამასთანავე ჩვენ აქვე ფანჯარაში შევხვდებით ერთს აპპარატს, რომლის დანიშნულება მდგომარეობს მაში, რომ მისი საშვალებით შეიძლება რომელიმე ნახატისგან ანუ ხელნაწერისგან პირის გადაღება ნაკადულით თუმც ისინი გამოსახულნი ანუ დაწერილნი არიან მეტალის ფურცელზედ ანუ ფიცარზედ. ამ შემთხვევაშიაც მის გამომგონს უხელმძღვანელებია ზემოხსენებული დედა აზრით ესე იგი რკინეულ ლილამბადი მარილის თვისებით. აპპარატი შესდგება ორი მბრუნავის ცილინდრებისგან. ერთს მათგანზედ გადაკრულია კალის ფურცელი, რომელზედაც გამოსახატია რომელიმე სურათი ისეთის ლაქით, რომელსაც არ გაყავს ელექტრონი და მეორეზედ ზემოხსენებული მარილით

*) იხ. „დროება“ № 79.

გაჟღენთილი ქაღალდი ორივე ფურცლებზედ მიბჯენილნი არიან სადგისის მზგავსი მეტალის პატრუანი ჯოხები, რომლებიც მიმაგრებულნი არიან მათ მახლობლად მყოფ ორს უძრავს ცილინდრებზედ. მოქცევი შესდგება ამ ნაირათ: კალის ფურცელი შეერთებულია ბატარეიის დადებით პოლიუსთან და მაზედ მიბჯენილი მეტალის ჯოხი ქაღალდ გადაკრულიან ცილინდრთან და ამ უკანასკნელის კოხი ბატარეის კარებით პოლიუსთან. როცა მოქცევი დაკეტილია, ნაკადული დაიწყებს მდინარებას, თუმც კალის ფურცელის და მაზედ მიბჯენილ ჯოხს შუა არ მოხვთა, რომელიმე ცუდი გამყვანი საგანი. მაგრამ რადგანაც მაზედ დახატულია სურათი ლაქით, ამიტომ ცილინდრების მოძრაობის დროს როგორც კი მოემწყვეტევა მათ შუა ლაქით დაფარული ნაწილები, მაშინვე ნაკადული შესწყდება და ამასთანავე მისი ქიმიური მოქმედებაც მარილით გაჟღენთილ ქაღალდზედ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჯოხები მიბჯენილებია ორივე ცილინდრების ერთ კიდეზედ და სდგანან უძრავათ და ამ დროს ცილინდრები თანახმად მოძრაობენ რომელიმე სიჩქარით ერთი წამის განმავალობაში და ამასთანავე თან-და-თან იწევიან ერთის მხრით. რასაკვირველია ცილინდრების არც ერთი წერტილი არ დარჩება ჯოხების გაუვლელათ. აქედგან ადვილი გასაგებია, რომ გამოსახული სურათის თითოეუ-

ლი ნაწილები ზედის ზედ მიყოლ... ბით გაივლიან ჯოხის წვერს ქვეშ ... შესწყვეტენ ნაკადულს და ამავე დრო... მათი შესაფერი წერტილები ქაღალ... ზედ დარჩებიან შეუღებავათ და ... ნაირათ მთელი სურათი გადღე... ხოლმე, ცილინდრების თანახმად მ... ძრაობისთვის აპპარატთან შეერთებ... ლია ისეთივე რეგულიატორი, როგ... რიც ზემოთ იყო აწერილი.

ჩვენ შეგვეძლო ჩამოგვეთვალა სხ... ავტორების ტელეგრაფებიც, მაგრ... მეშინია მკითხველს თავი არ შევაწ... ყო და კითხვის მადა სულ არ და... კარგო ახლა მინდა ორიოდე სიტყ... ვსთქვა ტელეგრაფის მნიშვნელობ... ზედ მეცნიერებაში და კაცობრიობ... მრავალ გვარათ დახლართულს ცხო... რებაში.

რასაკვირველია ყველასთვის ცნ... ბილია, რომ რკინის გზა მის უამხანა... გო — ტელეგრაფოთ გლახა მორთუ... იქნებოდა და ვერც ივარგებდა, უ... გითხრათ მართალი. ასე გასინჯ... ახლაც, როცა ტელეგრაფის შენობ... მიახწია გასაოცარ სისრულემდე... თითქმის ყოველ დღე ხდება უბედ... რება რკინის გზებზედ ზოგიერთი ... უდევნელი ტელეგრაფისტის წყალ... ბით. ტელეგრაფი რომ არ ყოფილ... ყო, თქვენ წარმოიდგინეთ მკითხვე... ლო მაშინ თუ რა იქნებოდა.

ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვა... რომ ტელეგრაფს არა მრავალ ჩვენ... განისთვისაც დაუკლია თავისებუ... სამსახური. ვინიცობაა, თუმც ...

...რა აგარები. აი ხიზანი ოსების სოფლები: მდლეხურის შეყოლიება სოფლები მთაში, ბარათ: პანტიანი, ვაკე-გორაკა.

სოფ. ჭ—ში ქურდობის პატარა ნიმუშებს დავუგდოთ ყური.

ამას წინად ერთ გლეხს მოჰპარეს ოსებმა 1 ხარი, 2 კამეჩი და 1 ცხენი; ერთი ჯანდაგი კამეჩი კი იმ ოსების სოფელში იპოვეს და დანარჩენი სამი სული კი დღესაც მოდის.

სამმა ოსმა ორი ღორის ღორი მოიპარეს და არა შეაჩნდათ ქურდობა, ოცი თუმანი უზღეს პატრონს.

ამ ზამთარს ერთ გლეხს მოჰპარეს ოსებმა შვიდი ღორი და ჩაილურის წყალი დაალევინეს; მეორეთაც ათი ღორი მოჰპარეს, მაგრამ ესენი კი დააყრევინა პატრონმა შეიარაღებული მეზობლების შემწეობით.

ამავე ზამთარს ოთხმა ოსმა ერთ გლეხს მოჰპარეს სამი თხა.

ამას წინათ ერთ გლეხს მოჰპარეს ერთი მუშა ხარი და პატრონი ერთი მეზობლით ფეხ-და-ფეხ მიჰყვა ქურდ ოსებს სახლის კარამდის, მაგრამ ოსებმა შეუტიეს: „აქ მოსვლა როგორ გაბედეთ თქვე ასეთ ისეთებოვო“ და კინალამ კბილები არ დაამტვრიეს. ხარი იქვე ჰყვანდათ, მაგრამ შეშინებული გლეხი მეზობლით თვალ-ცრემლიანი გამობრუნდა—მეც ზედ არ წამკლანო.

ერთ გლეხს მოჰპარეს ერთი ხარი და ერთი კამბეჩი მეზობელმა ოსებმა და შეჭამეს.

ამავე სოფელში მოჰპარეს ოსებმა და ცეცხლზე წყალი დაუსხეს ერთ საცოდავ გლეხს ერთი ახლი გამოქნილი ზაქი.

ამ სოფელში ორი მღვდელია, ორივეს თითო ცხენი მოჰპარეს იმავე მეზობელმა ოსებმა.

ერთ მებაღეს ერთი ცხენი მოჰპარეს ოსებმა.

ერთ გლეხს შეუხდნენ და, რაც ღორის ჩაჩხი ჰქონდა, მოჰპარეს.

ერთ საწყალ გაციებულ გლეხს ამავე სოფელში მძიმეთ შენახული ზედაშე მოჰპარეს.

ერთ პატარა, უდრო-უდროთ დაობლებულ და ბუსუს აუშლელ გლეხის ბიჭს მოჰპარეს სამი კოკა ღვინო და შემდეგ იმ ქურდებმა საქვეყნოთ მადლი გადუხადეს დამკარგავს: „რა კაი ღვინო გცოდნია, ყოველ წელს დაგვპატიჟებდეო“.

მეფეების დროინდელი თარხნის ამბებისა არ იყოს, ამ ჩვენი ხიზანი ოსებისაც თორმეტი ოინი ჩამოვთვალე. რიცხვით თორმეტი ყოველივე ძველიდგანვე ფასდადებულია.

ჩვენის ფიქრით, ამ საქმეში ადგილობრივ ადმინისტრაციასაც ედება ბრალი. ამის დასამტკიცებლად ავიღოთ სიღნაღის მაზრა, რომელიც ქურდობის ბუდედ, ცენტრათ ითვლება ჩვენ მხარეში. ამ ორ წლამდის ქურდობა ჰყვაოდა სიღნაღისკენ. ამ ორ წელიწადში კი, თუ სრულიად არა, ნახევარზე მაინც ფრთა მოეკვეცა იმას ფრთები და დღეს წინამხარი მოსვენებით არის. სიღნაღის ადმინისტრაციამ აი რა ზომები იხმარა ქურდების წინააღმდეგ: ექვს-შვიდ სოფელში ითაოსნა და ხალხის განჩინების ძალით ორმოცამდე თავი ქურდი კაცები ხელთ იგდო და საუკუნოდ მოაშორა იმ მხარეს. ქურდების დევნას ანაცვალა ერთი საუკეთესო ყმაწვილი კაცი თ. ვაჩნაძე. მთელი მაზრის საყვარელი თ. ლ. ჯ—რიც კინალამ მოჰკლეს მუღანლოელ თათრებმა; მის მაგიერ შეცდომით მის ჩაფარს ესროლეს თოფი. პრაპორშჩიკს ლ. რ—ოვს ნაურიალში ყასუმამ კინალამ პიბოდის ტყვია არ მიაკრა შუბლში.

ამისთანა თავ-განწირულ ქურდობის დევნას ბორის მაზრაში სიზმარშიაც ვერავინ იზმანებს, არამც თუ ცხადათ ნახონ.

ერთ სოფელში რომ ხელათ ამოდენა ქურდობა ხდებოდეს, სხვაგან რაღა იქნება—ისიც რო ჩამოითვალოს.

ახლა ერთი რამ მეფიქრება და ნება მიბოძეთ ვიკითხო: ხიზანი ხალხი—ოსობა, მეზობლათ მცხოვრები თავის მებატონეებთან და ქართველ გლეხობასთან,—ესე დაუსჯელნი როგორ რჩებიან ამოდენა ავ-კაცობის შემდეგ, როდესაც, ქურდები ვინც არიან, ყველამ ისე იცის, როგორც დიაკვანმა მამაო ჩვენო? როგორ ხდება ესე, თუ აქ ერთი მიზეზი არა იყვეს-რა. როგორ ხდება ესე, თუ კალთის დამფარებელნი არავინა ჰყვანდეთ.

ქართველ გლეხობას საქონელი მეტი ჰყავს ოსებზე, ეს ყველამ იცის; მაგრამ „რეხის ხეობაში“ უსაქონლო ოსისგან ყიდულობენ საქალამნეს, გადაფხეკილს, ზედ ბალანი აღარა აქვს მთხრობლად არავინ გავიდესო. რო ჰკითხვენ: გადაფხეკილს რათ ჰყიდიო? უპასუხებს „ცემთინ გადაფხიკე, მარამ სენი ხათრი ძაან აქვს და გითმობს“.

მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის. ბორის სამაზრო ადმინისტრაციას ვალი აქვს ამ წერილში მოხსენებულ ქურდობის შემთხვევებს ყურადღება მიაქციოს და ამ სენს ფრთა როგორმე შეაკვეცოს. ჩვენ გავიგეთ, რომ ს. ჭ—ში სოფლის საზოგადოებას განაჩენი შედგენილი აქვს რამდენიმე ქურდი ოსის სამართალში მიცემისათვის და მამასახლისი თურმე ვერ ბედავს შემოწმებას, რაღაც უცნაური მიზეზისა გამო.

*N.*

12 აპრილი.

## წერილი რედაქტორთან.

„ობოლს კვერი ეძცხოდაო, ისიც ცეცხლში ეწოდაო.“ სწორეთ იმას ჰგავს, ბატონო რედაქტორო, ის ამბავი, რომელსაც ვგსურს თქვენის ნებადართვით თქვენს პატივ-ცემულ გაზედში ადგილი ექნეს და ვისიც რიგია, მათ ცნობამდის მიაწიოს.

საქმე აი რაში გახლავს:

კარგად მოგეხსენებათ ქართული სტუდენტების შევიწროებული და

---

...რამე გაუჭირდა ანუ დაულხინდა თავის ანუ უცხო ქვეყანაში; მაშინვე დეპეშას დაუკრავს ხოლმე თავისიანს. ამაზედ არც ბევრი ლაპარაკი საჭიროა. ისიც ძლიერ ადვილი გასაგებია, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტელეგრაფს ვაჭრებისთვის. ძლიერ ხშირათ ხდება, რომ მთელს ევროპაში რომელიმე საქონლის ფასი უცებ დავარდება ანუ აიწევა და ღირებული ქაღალდების ფასი ხომ ყოველდღე რყევაშია, ამას რაღა ლაპარაკი უნდა, უმეტეს შემთხვევაში ძლიერ ცოტა მიზეზს თითქმის უმნიშვნელოს, ხანდისხან კი უბრალო ჭორსაც საშინელი განლენა აქვს მათ ღირსების დაცემაზედ და აწევისა კი რა მოგახსენოთ. მლევსავით კი არა ცხრაფეხასავით მიბობორჩხიკობს და.

აგრეთვე რამდენჯერ გვინახავს ანუ გაგვიგონია, რომ ბევრი ღარიბები ძლიერ მოკლეს დროში გამდიდრებულან და მდიდრები გაღატაკებულან ბირჟაზედ თამაშობის და ტელეგრაფის წყალობით. აჰა გაშინჯეთ. თითქმის ყველას ვისაც დიდის ვაგლახით და ჰაპან-წყვეტით ცოტაოდენი ფული უშოვია ბირჟაზედ მიაქვს, ეგება მალე გავმდიდრდეო; ასე რომ ამ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეში ყველას ძვალს-რბილში გაჰჯდენია ცივილიზაციის მომდევარი სენი, რომელსაც სიმდიდრის წყურვილათ უწოდებენ. ცხადათ ვხედავთ, რომ ყველანი ათას ნაირ ხრიკს და მახეს უგებენ ერთმანერთს, რომ რამე ნაირათ ერთმა მეორეს დასტყუოს მათ მათი ნატანჯული და ნაოფლარი მაგრამ ტყუილათ კი არ არის ნათქვამი ის დალოცვილი ხალხის ანდაზა: „ბევრის მდომსა ცოტაცა დაეკარგვისო“.

თუმცა ევროპის ანუ ამერიკის რომელიმე კუნჭულში რამე ამბავი მოხდა თითქმის იმავე დღეს შეიტყობთ. რასაკვირველია, ტელეგრაფი ყველა სახელმწიფოის მმართველების მაგარი ძარღვია. მათ მისი საშვალებით ადვილათ შეუძლიათ გასაოცარის სისწრაფით მოახდინონ შემთხვევის შესაფერი განკარგულება სახელმწიფოის რომელიმე დაშორებულს ნაწილებში. არც ის უნდა დავივიწყოთ. თუ რამოდენჯერ გადურჩენია ტელეგრაფს ზღვაში მავალი ცეცხლის გემები და მათში მყოფი მოგზაურები ზღვის ფუთნისგან.

აქ საჭიროა დაუმატოთ ისიც, რომ ტელეგრაფი დიდ სარგებლობას და სამსახურს უწევს მეტეოროგიის (ტაროსის) მეცნიერებას. მისი საშვალებით ადვილი შესატყობია ძლიერ მოკლე დროში, თუ რა ცვლილება სწარმოებს თითქმის მთელი დედა-მიწის გარშემოცველი ატმოსფერაში, მაგალითებრ: ჰაერის დაწოლაში, სითბოს და სინოტიოს რაოდენობაში, თუ სად რამოდენს უჩვენებენ: ბარომეტრი (ჰაერის დაწოლის მაჩვენებელი იარაღი), ტერმომეტრი (სითბოს მზომავი ინსტრუმენტი) და გიგრომეტრი (სინოტიოს შემტყობი აპარატი), თუ საით მიმდინარებს ჰაერი, ანუ პერიოდული წვიმა, სად იმყოფება სრული მყუდროება ჰაერში და სხვა ამგვარები. დედა-მიწის ზურგზედ გაფანტულია მრავალი მეტეოროგიური სტანციები, საცა მეცნიერები თვალ-ყურს ადევნებენ და აკვირდებიან ბუნების ყოველ გვარ მოვლინებებს, რომლებიც გადააქვთ რუკაზედ. ამ გვარი ხანგრძლივი დაკვირვებებისგან ტყობილობენ, რომ ბუნებაში მრავალი მოვლინებები მეორდებიან თითქმის მათემათიკურის სისწორით რომელიმე დროს განმავალობაში; ასე რომ რამოდენიმე წლის წინეთ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ. თუ სად რა ცვლილება მოხთება ბუნებაში. ამნაირ გამოყენილ დასკვნებს ჰქვია ბუნების კანონები. შეგვიძლია სინამდვილით ვსთქვათ, რომ ერთხელ მოაწევს იმისთანა დრო, როცა თითქმის ყველა ადამიანს რამოდენიმე წლის წინეთ ეცოდინება მეტეოროლოგიის მეცნიერებისაგან, თუ როდის რა ცვლილება მოხდება ჰაერში და მის და შესაფერათ ყველანი წინ-და-წინ თავდარიგს შეუდგებიან ხოლმე. მაშინ არ იქნება არც გვალვა, არც გაგრძელებული წვიმები, არც სუსხიანი და სასტიკი სიცივეები ზამთრობით, არც აუტანელი სიცხეები ისეთს ქვეყნებში, რაცა ისინი სამართლათ არ უნდა იყვნენ თავიანთ გეოგრაფიული მდებარეობის გამო; არც სეტყვა, არც მეხი და არც სხვა ამ გვარი საშინელი მოვლინებები, რომლებიც ახლა მრავალ ჩვენთაგანს ამაოთ მორწმუნეებს ღვთის რისხვათ მიგვაჩნია. ყველა ამ გვარ უზნეური მოვლინებების განსაკურნავათ მეტეოროლოგიის მეცნიერება მოიპოებს შესაფერ წამლებს, რადგანაც მას წინ-და-წინ შეტყობილი ექნება დაკვირვებებისგან მათი მიზეზები და მათი ურთიერთისადმი დამოკიდებულება. მაშა სადამე იმედია, რომ ის მალე გვიჩვენებს ისეთ საშუალებებს ბუნების მოვლინებებთან საბრძოლველად, როგორიც მოგვცა გასაუქმებლად შემდეგ მაზედ დიდხნის დაკვირვებისა და შესწავლებისა. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ყველა ბუნებრივი ძალები დანიშნულება ადამიანის შრომის შესამსუბუქებლად და სამსახურებლად, ოღონდ თუმც ის მას კი მოინადირებს და გაუბამს უღელში; მაგრამ უბედურება მაში მდგომარეობს, რომ ის უმეცარია და უხერხი და ყოველს ნაბიჯზე მათი ეშინია და აღმერთებს მათ. ნეტავ როდის იქნება ის ნეტარი დრო, როცა ყველა ადამიანი მოიშორებს თავიდგან ამაოთმორწმუნეობს და მიახწევს იმ დასკვნამდის, რომ ზესთა-ბუნებითი მოვლინებები არ არსებობენ და ამასთანავე შეიგნებს, რომ ბედნიერება მდგომარეობს ზომიერს განუწყვეტელს შრომაში და სწავლაში და არა ერთმანეთთან ბრძოლაში!?

გოგია გურული.

პარიჟი, 5 (17) აპრილს.

ბევრისაც უკიდურესი მდგომარეობა. ვინც სტიპენდიატები, ვართ, ხომ კარგი, იმ მცირეს საშუალებით, რომელსაც სტიპენდია გვაძლევს, ვატარებთ როგორც არის წუთისოფელს, ვაბამთ გაცოდვილებით თევსა და თევს ერთმანეთზე; ვინც არა, ცუდათ თქვენი მტერი იქმნეს, ცუდს მდგომარეობაში ისინი არიან. ზღაპარში რომ გაგიგონიათ ნათქვამი, დედინაცვალმა დილიდამ საღამომდის სამწყესავიდ წასულ გერს ერთი პატარა კოკორი გაატანა და თან დააბარაო;„—შენც ბევრი ჭამე, ამყლელსაც ბევრი აჭამე, ჩამყლელსაცო და შინაც ბევრი მოიტანეო!“—სწორეთ იმას ჰგავს ჩვენი საქმე. პირველ წამოსვლის დროს რუსეთში როგორც არის გაჭირვებით სუთას-ექვსასი მანეთი მოუციათ მშობლებს და აი, ეს გახლავს ჩვენი ოთხი წლის საგძალი, რომელსაც, თუმცა არც ამყლელს ვაჭმევთ ბევრს, არც ჩამყლელს, არც ჩვენ გიახლებით ბევრს, მაგრამ მაინც არაფერს შეადგენს.

ეხლა წარმოიდგინეთ, ამისთანა შევიწროებულს მდგომარეობაში მყოფ სტუდენტების ხელის გასამართავ ფულებს აღარ გვიბრუნებენ ზოგიერთები და „ბუზს არ ჰქონდა, ყვავს გაჰქონდაო“, სწორეთ ესრე გვექცევიან. ჩვენ მოგახსენებთ იმ პირებზე, რომელთაც აქ, ოდესაში მყოფობის დროს, თუ სტუდენტათ, თუ ლექციების გარეშე მსმენელებად და თუ სხვა სასწავლებლებში უსესხნიათ ღარიბი სტუდენტების ხელის გასამართავი ფულები და ეხლა აღარ აბრუნებენ. სამჯერ მივიქეცით მათთან წერილით, მაგრამ, გარდა ორისა, პასუხი არ მიგვიღია. ამ ორმა კი გვაცნობა წერილით, რომ პირველ შეძლების თანავე გამოგვიგზავნიან.

ეხლა თქვენ იმიტომ მოგმართეთ, ბ. რედაქტორო, რომ თუ ვინიცობაა ზოგიერთებმა წერილები ვერ მიიღეს, გზაზე დაიკარგა, თქვენის გაზეთის საშვალებით გეიხსენონ თავის, ვალდებულება და გამოგზავნონ მართებული ფულები, რომელიც აქ ძლიერ საჭიროა, რომელიც დიდს სალავათს და შემწეობას მისცემს იმათ მოძმე ღარიბ-გაჭირვებულ სტუდენტებს.

ოდესელი ქართველი სტუდენტები.

*P. S.* ვთხოვთ უმორჩილესად „შრომის“ რედაქციას ინებოს ამ წერილის გადაბეჭდვა.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სუსტის ავათმყოფობისა.

---

# განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—1)

---

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

## სადგომი

8 და 4 ოთახიანი იძლევა ქირით ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ, სახლის № 13. ჰკითხეთ სახლის-პატრონს ისარლოვისას. (3—2)

---

## იურიდიული კაბინეტი

### იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—19)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქურდი

## ყარამნის შვილის

### მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ჟობალაძესთან.

---

## ტაქსის

საკვებად ხორაგეულებისა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

---

## ანგარიში

### ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1881 წლისა.

1 იანვარს 1881 წელსა იყო:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 9,599—69 | გასესხებული — — | 11,078—„ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500—„ | ნაღდი ფული — — | 658—41 |
| სათადარიგო თანხა — | 242—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 1,393—81 | | |
| ჯამი | 11,736—41 | ჯამი | 11,736—41 |

1881 წელში:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 297—66 | წილადი ფული — — | 660—74 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალი ვადის მიცემის დროს | 885—95 | მოგება 1880 წლის წილადებზე მიცემული | 681—26 |
| ჯარიმა — — — | 111—2 | გასესხებული — — | 13,528—„ |
| დაბრუნებული სესხები — | 13,952—„ | სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინ გარდახდილი სესხისა — | 20—67 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284—„ | სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500—„ |
| სათადარიგო თანხა — | 139—„ | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისა | 33—30 |
| | | სამართველოს ხარჯი — | 292—40 |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი — | 14—„ |
| | | ალებ მიცემის გასავალი | 356—92 |
| ჯამი | 15,669—63 | ჯამი | 16,087—29 |

1 იანვარს 1882 წელსა არის:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 9,236—61 | გასესხებული — — | 10,654—„ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284—„ | ნაღდი ფული — — | 240—75 |
| სათადარიგო თანხა — | 381—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 992—23 | | |
| ჯამი | 10,894—75 | ჯამი | 10,894—75 |

ნამდვილთანა სწორ არს გამგებელნი: თ. კ. ყიფიანი, ბესარიონ ბაქრაძე.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Апрѣля 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.